ადამიანური კაპიტალი-ტურისტული საწარმოს განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი

ლაშარი ქურდაშვილი
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტურისტული ინდუსტრიის საწარმოთა განვითარების მთავარ პირობა - ადამიანური კაპიტალი. ნაჩვენებია, რომ ამ სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა უწყვეტი განათლება ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების მნიშვნელოვან ფაქტორის წარმოადგენს.

ბოლო ათი წლის მანძილზე ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად სექტორად ჩამოყალიბდა. ასეთი განვითარების ობიექტურ საფუძველს შეადგენს უნიკალური ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს საქართველოს ატრაქტიულობას. სოციალურ-ეკონომიკური სერვისისა და შავი ზღვისპირეთის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, პირველ რიგში დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის არსებობასთან, მის ხარისხთან და კვლავწარმოებასთან.

ეს პრობლემები სულ უფრო ხშირად წარმოიშვება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც მომსახურების სფერო ყველაზე მომგებიან სექტორად არის ქცეული, სტუმარმასპინძლობის ქართული ინდუსტრია დღეს მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი დაკავშირებულია ადამიანური ფაქტორის როლის მნიშვნელოვან ზრდასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინდუსტრიის დარგის პრობლემების დროული გადაჭრა, სასტუმრო მეურნეობის სპეციალისტების განათლების სისტემის რეფორმირება, ადამიანური კაპიტალის მართვა და მომსახურების ხარისხის გაუმ-

ჯობესება ხელს შეუწყობს სოციალურ-კულტურული სფეროს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. ასეთი მიდგომით გახდება შესაძლებელი ადამიანთა აქტიური და სრულფასოვანი დასვენების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მათი ჯნმრთელობის გაუმჯობესება და ქართული სტუმარმასპინძლობის კულტურის საგანძურთან მათი ზიარება.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, განათლების დივერსიფიცირებული სისტემა, მომსახურების ხარისხი, ტურისტული ინდუსტრია.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის ერთერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად და პერსპექტიულ სექტორად აღიარებულია ტურიზმი. ტურისტული ბაზრის და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიის საწარმოების ფუნქციონირებას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი აქვს, რომელზედაც მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები. ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების პირველადი ფაქტორებია ბუნებრივ-კლიმატური, ხოლო მეორადი-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა.

ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს უნიკალური ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა ფაქტორთა რიგი, რომლებიც განაპირობებენ რეგიონის ატრაქტიულობას. მაგრამ ვიხილავთ რა სოციალურ-ეკონომიკური სერვისისა და შავი ზღვისპირეთის ტურიზმის განვითარებას, გამორიცხულია, ვერ შევამჩნიოთ, რომ ამ დარგის ინტენსიფიკაციის პრობლემები დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანური კაპიტალის არსებობასთან, მის ხარისხთან და კვლავწარმოებასთან. ეს პრობლემები სულ უფრო ხშირად წარმოიშვება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც მომსახურების სფერო ყველაზე მომგებიან სექტორად არის ქცეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინდუსტრიის საწარმოთა განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი. უნდა ავღნიშნოთ, რომ ყოველი ორგანიზაციის წარმატება განისაზღვრება ცოდნითა და იმ ინფორმაციით, რომელსაც იგი მოიპოვებს, რადგანაც ცოდნის მატარებლები თანამშრომლები არიან. ისინი წარმოადგენენ დიდ ფასეულობას საწარმოსათვის. ტურსაწარმოს პერსონალი ასრულებს მრავალმხრივ ფუნქციას, მაგრამ მთავარია სამეწარმეო საქმიანობა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ტურისტული საწარმოს თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ საკანონმდებლო აქტები და ტურიზმის სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები, საერთაშორისო ნორმები და წესები ქვეყნიდან გასამგზავრებელი დოკუმენტების გასაფორმებლად. აქდან გამომდინარე ამ სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა უწყვეტი განათლება ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სტუმარ-მასპინძლობის ქართული ინდუსტრია დღეს ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი დაკავშირებულია ადამიანური ფაქტორის როლის მნიშვნელოვან ზრდასთან. საქართველოს მოსახლეობის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომხდარი მასიური მიგრაცია და დემოგრაფიული ვარდნა იწვევს შრომითი რესურსების შემცირებას და, როგორც შედეგი, აისახება ადამიანური კაპიტალის ხარისხზე.

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი აღიარებულია გასული საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს ეკონომიკურ და სოციალურ ფენომენად. დღეს მსოფლიო ექსპორტში ტურიზმის წილი 8%-ს შეადგენს, მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე იგი 31%-იან ნიშას იკავებს, ხოლო ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა კი 100 მილიონ აღემატება.

საერთაშორისო ტურისტული ნაკადი 1950 წლიდან დღემდე 25 მილიონიდან 840 მილიონამდე გაიზარდა. როგორც მტო-ს

გამოკვლევები გვიჩვენებს, წლიურად იგი იზრდება 4 %-ით და 2020 წლისათვის მიაღწევს 1.6 მილიარდს. მსოფლიო ექსპორტის 7,5% ეკუთვნის ტურიზმის სექტორს, ავტომობილისა და გაზის მრეწველობის შემდეგ. ტურიზმი საეთაშორისო ვაჭრობის და მოსახურების ერთ-ერთი მზარდი სექტორია, რომლის განვითარებაც ხასიათდება მისი გეოგრაფიის გაფართოებით, დივერსიფიკაციითა და ინტერგრაციით. მისი მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია მარკეტინგის სექტორის გაფართოება და ტურიზმის ახალი ფორმების ჩამოყალიბება.

საქართველო ძველ საბჭოეთში ითვლებოდა ტურიზმის ლიდერ ქვეყანად, საქართველოზე გადიოდა 120-ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი. 1990-იან წლებში მომხდარმა პოლიტიკურ მოვლენებმა განაპირობა მისი სტრუქტურის სრული პარალიზება, რამაც გამოიწვია ტურისტული ნაკადების მიმოსვლის შეწყვეტა. ამ პერიოდისათვის ტურიზმმა ორმაგი დარტყმა განიცადა. ჯერერთი მოიშალა ინფრასტრუქტურა, მეორეც, დაიკარგა ისეთი კადრები, რომელთაც ამ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

1993 წლიდან საქართველო გაერთიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში, ტურიზმმა კვლავ აღმასვალა დაიწყო. თანდათანობით გაიზარდა როგორც ტურისტთა მიმწოდებული ქვეყნების გეოგრაფია, ასევეე ტურისტთა ნაკადებიც. საქართველოს სტუმრობენ მსოფლიოს ექვსივე ტურისტული რეგიონიდან, ყველაზე დიდი ხვედრითი წონა საერთო რიცხოვნებაში უკავია ევროპიდან შემოსულებს.

განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულია დღევანდელ დღესაც, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანური კაპიტალის ხარისხს (ადამიანის ცოდნა, პროფესიონალიზმი, მორალი, კულტურა), რომელიც სახელმწიფოს ინტელექტუალურ და სულიერ რესურსს წარმოადგენს. სახელმწიფოს წარმატება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ უზრუნველყოფილი განათლების სისტემაზე, მისი მოსახლეობის განათლების ხარისხზე. ტრადიციული ფაქტორები (მიწა, ნედლეუ-

ლი, საწარმოო კაპიტალი), ცხადია, კვლავაც უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში, მაგრამ მათ გააჩნია ჩარჩოები, განვითარების ზღვარი. უსაზღვროა მხოლოდ ადამიანური კაპიტალი, მისი ცოდნა და სულიერება.

დღეს, ტურისტული ბიზნესის სწრაფი განვითარების ფონზე, სასტუმრო ბიზნესში სულ უფრო ცხადდება ის ფაქტი, რომ სოციალურ-კულტურული სერვისის მიწოდება პროფესიულ დონეზე წარმოუდგენელია სპეციალური განათლების გარეშე. ხოლო კლიენტების მომსახურების სფეროში კი ეს უბრალოდ შეუძლებელია. კომპანიები, სასტუმროები და სასტუმრო ქსელები, რომელთა შტატშიც არ არსებობს კვალიფიციური მენეჯერები ფინანსების მართვის, მომსახურების ტექნიკისა და ტექნოლოგიების, სასტუმრო მენეჯმენტის, ტუროპერატორის საქმიანობის, მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების და ა.შ. სპეციალური ცოდნით, კონკურენტულ ბრძოლაში განწირულნი არიან წარუმეტებლობისთვის. აღსანიშნავია, რომ ტურსაწარმოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პერსონალის გავლენა მუშაობის ეფექტიანობაზე იცვლება ახლად შექმნილ ტურისტულ საწარმოებში. თანამშრომლები ითვისებენ და აფართოებენ თავის საწარმოო როლს. ზრდის სტადიაში ჩვეულებრივად მიიღწევა ერთიანობა და ჰარმონია გუნდში, ვინაიდან თანამშომლებს თავისი საქმიანობა მიმართული აქვთ პრობლემის გადაწყვეტასა და დასმული მიზნების მიღწევაზე. ადამიანური პერსონალის ეფექტიანი მუშაობა ასევე დამოკიდებულია სამუშაო ადგილზე და მათი ადაპტირების ხარისხზე.

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თავისებურ კატალიზატორს წარმოადგენს. ამ დარგის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, დადებითად აისახება ტერიტორიის იერსახეზე, რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობების გამტკიცებას, სტიმულს აძლევს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, სასტუმრო მეურნეობის, ვაჭრობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებას.

საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის სოციალურ-კულტურული სფეროს ერთერთ უმთავრს პრობლემას კვალიფიციური პრესონალის ნაკლებობა წარმოადგენს. ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ უწყვეტი განათლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღების მწყობრი სისტემის შექმნის გზით. ადამიანური კაპიტალის ზრდისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევაა საჭირო როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების მხრიდან.

დასკვნა

ტურისტული ინდუსტრიისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის, აუცილებელია მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შემდგომი დახვეწა და ტურისტული ბიზნესის მართვის სისტემის განვითარება რეგიონულ დონეზე. მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის მოზიდვა. ამისათვის კი აუცილებელია, დივერსიფიცირებული საგანმანათლებლო პროდუქტის დანერგვა, სპეციალიზებული და სოციალურ-კულტურული სფეროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება. ახალი და ეფექტური საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება სტუმარმასპინძლობისა და სერვისის სფეროში. განათლების ახალი მოდელი ჰარმონიულად უნდა ეხამებდეს ახალ ტექნოლოგიურ მიდგომებს ქართული სტუმარმასპინძლობის არსებულ ტრადიციებთან.

ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის ინდუსტრიის სფეროს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას ხელს შეუწყოფს ადამიანური კაპიტალის მართვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ეს კი განაპირობებს ადამიანთა აქტიურ და სრულფასოვან დასვენებას, მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ქართულ სტუმარმასპინძლობის კულტურის საგანძურთან მათ ზიარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., გველესიანი რ., ბიზნეს-გარემოს ეროვნულ-კულტურული მოდელები, საერთაშორისო კონფერენციის „საერთაშორისო ბიზნესის სოციო-კულტურული გარემო“), მასალები, ნაწ. I, თბ., 2011; (The national cultural models of the Business-environment; Conference materials: „ The Socio-cultural environment of International Business”).

2. Anderson Ch., Makers: The New Industrial Revolution. — New York: Crown Business, 2012. — ISBN 978-0-3077-2095-5.

3. Chiswick Barry R. and Miller Paul W. Negative and Positive Assimilation By Prices and By Quantities, IZA Discussion Papers – 2013;

4. Layard Richard and Clark David, Thrive: The Power of Evidence-Based Psychological Therapies. London, England: Allen Lane. 2014. ISBN 978-1-846-14605-3;

5. The Two Branches of Intellectual Property, WIPO (The World Intellectual Property Organization), booklet, 2012.

HUMAN CAPITAL AS ONE OF THE IMPORTANT RESOURCES FOR DEVELOPMENT OF A TOURISTIC ENTERPRISE

Lashar Kurdashvili,
The Doctoral Student of
Tbilisi Iv.Javaxishvili State University

RESUME

The article discusses that the main condition for the development of enterprises of hospitality industry is human capital, shows that the continuous education of employees of this area is an important factor in the reproduction of human capital.

Tourism is one of the most dynamic sectors of Georgian economy in

recent decades, the objective of the foundation are: the unique natural resources, convenient geographical location and other factors, contribute to the attractiveness of Georgia. It examines the socio-economic services and tourism development prospects of the Black Sea Coast. There is noted that the intensification of problems in this field is primarily concerned with the following: the existence of human capital, it's quality and it's reproduction.

According to the author, the problems have arisen in all regions of Georgia. Compared to other countries, in which the service sector has become the most profitable, Georgian hospitality industry is only now developing and the socio-economic development of the country is connected with role of the human factor. The author explains that solving of the sector's problems in time will contribute to the socio-cultural sphere of further development and perfection. Only such an approach will make it possible to satisfy people's demand for an active and full relaxation.

Key words: Human capital, Diversified education system, Quality of service, Social and cultural development.